გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 232

2023 წლის 8 დეკემბერი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის 2023 წლის განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილების „გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე საკრებულოს წარუდგენს წლიურ ანგარიშს კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. ამავე მუხლის მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კი კომისიის თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია საკრებულოს წინაშე და ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც საკრებულოს წარუდგინოს ანგარიში მის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ და წელიწადში ერთხელ მაინც შეადგინოს და გამოაქვეყნოს კომისიის მუშაობის ანგარიში საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული წესით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის 2023 წლის განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში №1 დანართის (თან ერთვის ერთ ფურცლად) შესაბამისად.

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ. მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

№1 დანართი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის ანგარიში 2023 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისია თავის მუშაობას წარმართავს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის, 28 -ე, ,,ბ“ ქვეპუნქტისა და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის სხდომის N 1 დადგენილების შესაბამისად შემუშავებული რეგლამენტის მიხედვით.

კომისიის წევრებს რეგულარული შეხვედრები აქვთ მოსახლეობასთან, ეხმარებიან სოფლის მეურნეობაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და მათი პრობლემების გადაჭრის საქმეში.

კომისიის შემადგენლობაში გაერთიანებულია საკრებულოს 15 წევრი. კვარტალურად კომისია ადგენს სამუშაო გეგმებს, რომელსაც ამტკიცებს კომისია.

ვიხილავთ გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან გადმოგზავნილ პროექტებს.

კომისიის სხდომაზე მოსმენილ იქნა გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის ქონების განყოფილების ანგარიში 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ იქნა კომისიის 11 სხდომა, განხილულია 121 საკითხი, საკითხების ირგვლივ მიღებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები.

2023 წლის 17 ნოემბერს ჩატარდა კომისიების ერთობლივი სხდომა,სადაც განხილულ იქნა 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი.

კომისია აგრძელებს მუშაობას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის, 28 -ე, ,,ბ“ ქვეპუნქტისა და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის სხდომის N 1 დადგენილების შესაბამისად შემუშავებული რეგლამენტის მიხედვით.